

შპს „კომპლექსის“

31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლის ფინანსური
ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნები
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	574	1 390	728 705	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	317733	389 078	45 979	3.3
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალ	10747119	8 268 539	2 216 104	3.2,4
მარაგები	922 689	937 768	922 689	3.6
- მზა პროდუქცია				
- სხვა	922689	937 768	922 689	3.6
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	164 175	3 414 256	2 949 667	3.4,5
ბიოლოგიური აქტივები	2 921	3 349	4 132	
- თვითღირებულების მოდელით	2 921	3 349	4 132	
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1 212 171	2 373 211	2 316 064	3.7,8
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	13 367 382	15 387 591	9 183 340	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	221 444	156 206	216 265	3.9
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	175			3.14
საგადასახადო ვალდებულებები	88 343	614 785	49 262	3.12
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1 825		316 500	3.10
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1 103 965	2 325 775	2 978 615	3.11
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6 115 331	6 873 338	2 430 474	3.13
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	7 531 083	9 970 104	5 991 116	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპ'			102 140	3.15
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	5 836 299	5 417 487	3 090 084	3.15
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	5 836 299	5 417 487	3 192 224	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13 367 382	15 387 591	9 183 340	

შპს „კომპლექსის“ დირექტორი

ირაკლი მამუიშვილი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდი 2023 წელი	საანგარიშგებოს წინა პერიოდი 2022 წელი	შენიშვნები
ნეტო ამონაგები	1 785 299	3 754 996	
საქონლის გაყიდვიდან	246 480	56 169	3.16
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1 421 635	3 566 500	3.16
სხვა	117 184	132 327	3.16
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(926 967)	(1 530 643)	3.16
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	858 332	2 224 353	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(63 555)	(42 436)	3.17
ცვეთა და ამორტიზაცია	(109 340)	(111 248)	3.17
საპროცენტო შემოსავალი:	1 162 808	377 109	3.19
საპროცენტო ხარჯი :	(697 530)	(593 298)	3.19
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(37 463)	(132 961)	3.17
სულ საოპერაციო ხარჯები	254 920	(502 834)	
საოპერაციო მოგება	1 113 252	1 721 519	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	107 157	575 341	3.18
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(797 024)	30 543	3.20
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ო.	423 385	2 327 403	3.21
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	423 385	2 327 403	3.21
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
პირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	423 385	2 327 403	3.21
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	423 385	2 327 403	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5 417 487	3 192 224	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(4 573)	(102 140)	3.21
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5 836 299	5 417 487	

შპს „კომპლექსის“ დირექტორი

ირაკლი მამეიშვილი



2023 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კომპლექსი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2018 წლის 26 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 437372497, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ოზურგეთი, ალ. გრიბოედოვის ქ., N27, ბ. 12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი და ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ირაკლი მამეიშვილი (პ/ნ 33001002654).

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი მამეიშვილი (პ/ნ 33001002654)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი ნაგებობების დაშლა, ჯართის გატანა.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. დაუმთავრებელი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარებისათვის გამოიყენება პროპორციული შესრულების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით.

თუ შეუძლებელია ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ:

(ა) საწარმომ აღიარებს მხოლოდ ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და

(ბ) სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით და, ამავე დროს, იქმნება შესაბამისი ანარიცხი წაგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც საწარმოს უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, საწარმომ ამგვარი თანხა უნდა აღიაროს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირება.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრომოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდასაბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი

გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის

გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები - 5%;

ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკისა და ავეჯის გარდა - 20%;

ავეჯი - 20%;

მსუბუქი ავტომობილები - 20%;

სატრანსპორტო საშუალებების აქსესუარები - 20%;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 50%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა). 2023 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.6894 ლარი;

1 EUR = 2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.7020 ლარი;

1 EUR = 2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში		0	2
ლარი საბანკო ანგარიშებზე	574	1171	124671
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე		147	604032
ევროები საბანკო ანგარიშებზე		72	
სულ:	574	1390	728705

3.2. გაცემული მიმდინარე სესხები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
იურიდიულ პირებზე გაცემული სხვა მოკლევადიანი სესხები	8477221	7136437	1810361
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	698650		
მისაღები პროცენტები	1543734	609205	295795
სულ:	10719605	7745642	2106156

2023 წლის ბოლოსთვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს 7 იურიდიულ და ერთ ფიზიკურ პირზე გაცემული სესხის ძირს და გადასახდელ პროცენტს.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	317733	389078	45979
სულ:	317733	389078	45979

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი 4 იურიდიული პირის წინაშე, 31.12.2023 წ. მდგომარეობით, რომლებიც ძირითადად დაიფარა 2024 წელს.

3.4. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	25360	518227	103968
წილის შესაძენად გადახდილი ავანსი (განიხილება სესხად)		2900000	2900000
სხვა გადახდილი ავანსები	2153	4670	5980
სულ:	27513	3422897	3009948

31.12.2023 წ. მდგომარეობით ავანსები გადახდილია 3 რეზიდენტი მიმწოდებლისთვის.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	164175	514027	48950
მოთხოვნები ანაგარიშვალდებული პირების მიმართ			390
წინსწრებით გადახდილი საპანსიო ფონდში	1	230	327
სულ:	164176	514257	49667

წინსწრებით გადახდილი გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა დასაბრუნებელი მოგების გადასახადის თანხამ. საგადასახადო აქტივის შემადგენელი კომპონენტებია ასევე წინასწარ გადახდილი დღგ-ის და ქონების გადასახადები.

3.6. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
საქონელი	922689	922689	922689
მასალები		15079	
სულ:	922689	937768	922689

საწარმოს საქონელში აღრიცხულია სარეალიზაციო უძრავი ქონება.

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი (თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52 117კვ.მ, ს/კ 01.10.10.006.003.01.04.054)	98322	98322	98322
მიწის ნაკვეთი (ჩარგლის გასასვლელი #2, 1365 კვმ, ს/კ 01.12.07.007.027)		891324	891324
მიწის ნაკვეთი გუდამაყრის ქ. #4, 300 კვმ, ს/კ 01.12.07.005.026)		163068	
სულ:	98322	1152714	989646

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
შენიშვნები	1026029	1087240	1148452
ოფისის აღჭურვილობა	7987	12949	17911
ავეჯი	25574	39404	50640
მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	50755	78822	106888
სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	3504	2082	2527
სულ:	1113849	1220497	1326418

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2023 წლის ბოლოს - 354 536 ლარი;

2022 წლის ბოლოს - 245 623 ლარი;

3.8. ბიოლოგიური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ბიოლოგიური აქტივები	2921	3349	4132
სულ:	2921	3349	4132

ბიოლოგიურ აქტივებზე საწარმოს აღრიცხული აქვს წიწვოვანი და დეკორატიული ნარგავები.

3.9. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	221 444	156 206	216265
სულ:	221444	156206	216265

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 5 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.10. მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიღებული ავანსები რეზიდენტებისაგან	1825	0	316500
სულ:	1825	0	316500

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიას ერიცხება მიღებული ავანსი ერთი იურიდიული პირისგან, რომელიც შესრულდა 2024 წლის იანვრის თვეში.

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი	235057	309597	622092
იურიდიული პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხზე	67938	34685	3008
ჰალიკბანკისგან აღებული მოკლევადიანი სესხები		1621200	2013440
ჰალიკბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის (კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/1) მიმდინარე ნაწილი	266028	247101	256405
ჰალიკბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის (კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/3) მიმდინარე ნაწილი	88692	82629	83670
ჰალიკბანკისგან აღებული გრძელვადიანი სესხის (კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/10) მიმდინარე ნაწილი	438460		
ჰალიკ ბანკისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	7790		
სულ:	1103965	2295212	2978615

3.12. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	84530	544282	36157
მიმწოდებლისთვის გადახდილ ავანსებზე მიღებული ჩათვლა	3813	70503	13105
სულ:	88343	614785	49262

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები შედგება მიმწოდებლისთვის ავანსად გადახდილ თანხაზე დარიცხული და ბიუჯეტში გადახდილი ჩასათვლელი დღგ-ისგან 3 815 ლარი, ასევე დღგ-ის და საშემოსავლოს გადასახადების დეკემბრის თვის გადასახდელი თანხებისგან, რომელთა დეკლარირებაც მოხდა 2024 წლის 15 იანვრისთვის.

3.13. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ჰალიკბანკისგან აღებული სესხი კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/1	628254	898471	1311294
ჰალიკბანკისგან აღებული სესხი კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/3	802242	895108	1119180
ჰალიკბანკისგან აღებული სესხი კრედიტის ხელშეკრულება № 000101.2230/10	1000369		
საინვესტიციო ფონდისგან აღებული სესხი	3684466	5079760	
საინვესტიციო ფონდისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი		30562	
სულ:	6115331	1793579	2430474

„ჰალიკბანკიდან“ აღებული საკრედიტო ხაზის დავალიანება აშშ დოლარებში 2023 წლის ბოლოს შეადგენს 903 868.58 USD-ს, ხოლო საინვესტიციო ფონდისგან აღებული სესხი 1 369 995.74 USD-ს.

3.14. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები (საპენსიო ფონდი)	175		
სულ:	175	0	0

3.15. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი			102140
გაუნაწილებელი მოგება	5836299	5417487	3090084
სულ:	5836299	5417487	3192224

2023 წელს დივიდენდი არ განაწილებულა.

3.16. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა არასაცხოვრებელი ნაგებობების დაშლასა და ჯარტის გატანის მომსახურებაზე მიღებული შემოსავლებით. ასევე მეორადი ბეტონის ფილების და თხევადი ქანგადის რეალიზაციისგან. 2023 წელს კომპანიის ჰქონდა შემოსავლები ასევე საოფისე ფართის და სარეკლამო ბანერის გაქირავებით მიღებული იჯარებიდან

	2023 წელი	2022 წელი
ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (ნაგებობების დაშლა, ჯარტის გატანა)	1421635	3566500
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-695893	-1484373
საქონლის (არმატურის, მეორადი ფილების და თხევადი ქანგადი) რეალიზაცია	246480	56169
საქონლის თვითღირებულება	-231074	-46270
სიჯარო შემოსავალი (საოფისე ფართის იჯარით გაცემა)	117184	132327
სულ:	858332	2224353

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-63555	-42436
ცვეთა და ამორტიზაცია	-109340	-111248
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-11703	-13126
მმართველობითი, საკონსულტაციო და საშუამავლო ხარჯები		-23276
მივლინების ხარჯი	-2690	
ქონების დაზღვევის ხარჯი	-5669	-7334
ძირითადი საშუალებების მიმდინარე სარემონტო ხარჯები	-2192	-2286
საბანკო ხარჯები	-1597	-18813
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	-8689	-45690
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (სარეგისტრაციო, ნოტარიუსის, უძრავი ქონების საექსპლ.)	-4923	-22436
სულ:	-210358	-286646

3.18. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები სავალუტო ოპერაციებიდან:

	2023 წელი	2022 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	953292	1680472
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-846135	-1105131
სულ:	107157	575341

3.19. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	1341	1387
საპროცენტო შემოსავლები არასაფინანსო ისტიტუტებისაგან	1161467	375722
საპროცენტო ხარჯები (მათ შორის ჯარიმა სესხის პროცენტის დროულად გადაუხდელობისთვის)	-661845	-599019
საპროცენტო ხარჯები არასაფინანსო ისტიტუტებისაგან	-35685	-55058
სულ:	465278	-276968

3.20. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი-ხარჯი:

	2023 წელი	2022 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ვალუბის პატივით აღიარებული შემოსავალი, დამრგვალებები)	18	1950
არასაოპერაციო მოგება-ზარალი მიწის რეალიზაციიდან	-764038	90000
სხვა არასაოპერაციო ხარჯი (საგადასახადო ჯარიმები, დამრგვალებები)	-33004	-628
სულ:	-797024	91322

3.21. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

	2023 წელი	2022 წელი
მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი	423385	2327403
სულ:	423385	2327403

მთლიანი, სრული შემოსავალი/ზარალი დაკორექტირდა გასულ წელს ბანკებიდან აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტით 1692.40 \$ (4573 ლარი).

3.22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 20 ივნისს.